

მათრასი

და სალაბური

№ 11

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

978



თბილისი
დეკემბერი

მეღაროძი!...

ნკაოთი • საზინელი ამბავი კინაღამ დატრიალდა კოტაურას მთებში. (ნიკოთის მახლობლათ მდებარეობს.) ცნობილი მოღვაწე ტიტე ართმელაძე, ძლიერი საექსპედიციო რაზმის თანხლებით, ჯიხეთის დედათა მონასტრისათვის მთებში წყალს ეძებდა. დიდი ხნის კვლევა ძიების შემდეგ, რაზმის წი-

ნამძლოლი წააწყდა ერთ კაობს, სადაც სხვა და სხვა ფუსუნსალების ფარდა, რამოდენიმე ასი ბაყაყიცი აღმოჩნდა. შეიქნა ცხარე ბრძოლა, რომელმაც თითქმის გათენებამდე გასტანა. ბოლოს რაზმი ტიტე ართმელაძისა უნაყოფოთ უკუქცეულ იქმნა, თუმცა არც ბაყაყებს დასდგომიათ კარგი დღე.
ოზურგეთი. ერმოლოვის საქმეთა გამომკვლეველ კომისიაში, როგორც ამბობენ, მიწვეულ იქ-


მნებთან: დავით ღუმბაძე, ვასილ ხუნდაძე, ნიკოკი თაყაიშვილი, ღმირტიკე შველაძე, და კიდევ რამდენიმე სხვა პირი, ვითარცა საუკეთესო „მცოდნენი“ საქმეთა მისა სსახელთა.

ბათუმი. კენწარი და ბლიკვაძე.

მიზეზი არ იციან. ახლო მომავალში განაახლებენო.

თელავი. კლუბის გამგეობამ დაადგინა: კვირა-უჭუჭე დღეებში ნება დართოს კლუბის დარბაზში ცეკვაობისა ორი თვის ბავშვებსაც.

ქუთაისი. ზარნაბა ლოლაძე სხარულით ფეხზე ერთ დღეზე მას შემდეგ, რაც მისი „ახალი გამოგონება“ გამოქვეყნდა.



ემშკი ასტა-დასტა! (ინტერვაუ.)

„ტყვილა ჯდომას, ტყვილა შრომა სჯობია“-ო უთქვამს ვილაძეს და ამო თქმულების მიხედვით განვიზრახე ზოგიერთ „მარბილთა ამა ქვეყნისათა“ ნახვა, მათთან ლაპარაკი, მათი განზრახვის გაგება, ანუ როგორც ვერობილები იტყვიან „ინტერვიუს“ მიხედვით. წარმოიდგინეთ, ვერობიულ გაზუნს უამისონა ცხოვრება არც შეუძლია თურმე, ჩვენში კი ნეტარ ხსენებულმა პართენ გოთუმამ შემოიღო ეს განყოფილება, როცა მოკლედ ჩაღის, ვანბრანდტის, ჩვიდმეტ მილიმეტრიან ძაღლს ესაუბრა არტისტის ქალის შესახებ. გაერზე პართენისა ჩვენში სხვა არაიან აქცევს ყურადღებას ამ საქმეს და ამიტომ კიდევაც ვერ ხეირობენ, ძნელი კია ინტერვიუტრის საქმე და მოვალეობა, მაგრამ რა გაეწყობა: დავიწყეთ.

წერა-კითხვის საზოგადოებაში.

ღიღის მოკრძალებით შეეცადი საზოგადოების კანტორაში, ძველათ, მდივანთან მისახველი კარები წიგნის მაღაზიაში ვაიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქარმა 600 თუმნის ქაღალდი გაიტანა და გაფლანგა, გამგეობამ სხვა კარები გახსნა. ძლიერ შესიამოვნა!

მ.ვესალამე ქოჩორა მდივანს ქოჩორა ვაგაზიანი უკაწივლია.

— ეს კარები სწორეთ ჩინებულათ მოგწყვიათ! მორიდებულათ მოვახსენე, ვინაიდან ძნელი უცებ დიდრონ საქმეზე მუსაიფის გამართვა.

— გამოცდილება საუკეთესო მსწავლებელია, ბატონო ჩემო!

— თავად ბატონო, ერთი ეს მიბრძნეთ: ხომ კარგათ მიღის საზოგადოების საქმეები?

— ჩინებულათ, სწორეთ ჩინებულათ! გამგეობის წვევრთა შორის სრული თანხმობა-სოლიდარობა და მყუდროება სუფევს.

— საქმიანობენ, არა?

— ოაო! რასაკვირველია! მოსვენება არა გვაქვს, მოსვენება აქეთ სკოლების რვეიზიო, იქით მამულების ყურის გდებაო, კიდევ აგერ სტიპენდიების განაწილებაო, ამას დაუმატეთ სპარსელი ქართველები და ნათლათ მიხედვით რამიმე უღელე გავაძეცს კისრად.

— თანხმობა პირველი საქმეა. ეს ალბათ იმიტომ არის, რომ გამგეობაში სულ უპარტიო ხალხი მოხვდა.

— რასაკვირველია!

— გუშინ წინ, არტურ ლეიტის ხელმძღვანელობით ილიასული, სახლი დავათვილიერე, ანდრეევის ქუჩაზე. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერ მდგომარეობაში ის დამხვდა!

— მოგეწონათ არა?

— რა ბრძანება! სწორეთ უპარტიოთა გამოვას შეეძლო ისე მშვენიერათ და უპარტიოთა დეტოვების იმოდენა განძი. წარმოიდგინეთ: ქერი საუცხოვოთ ჩამონგრეული, ოთახები ჩინებულათ დამტკვრიანებული, ნივთები მიყრილ-მოყრილი, წინ პატარა ბაღი ვადამზარო, კარები მორყეული და ფანჯრები ჩაღეწილი. რომელი ერთი ვთქვა.

— ოაოო რა იცოდეთ რამდენი შრომა ჩვენ მასზე მიგვიძღვის!! ლეიტის რა აზრსაა თუ შეატყვეო?

— განცვიტრებულია თქვენი საქმიანობით, სწორეთ განცვიტრებული. როგორც შევატყვე, მისი აზრით კონტენტოტების რესპუბლიკაში იშვიათო მოსაძებნია ასეთი გამრჯე მოსაქმეები.

— ჰაი ჰაი რომ იშვიათია!

— ამბობენ საგურამოს მამულიც ასეთ ჩინებულ პირობებშიაო?

— რასა ბრძანებთ! იქ კიდევ უფრო დაწინაურებულია საქმე.

— ახლო მომავალში რა განზრახვა აქვს თქვენს გამგეობას; რას ეიარებით სამშობლოს საკეთილდგო?

— რა მოგახსენოთ. ჯერ-ჯერობით ორი სტოპნენდია გვაქვს გასანაწილებელი. შევდევ გან-ვარძობთ სამკითხველოები დახურვის საქმეს...

— როგორ? განა წვიმა უვლის?

— არა, საღამური წვიმა! დახურვა-დაკეტვის რალა. აქ მებობლათ რო გვქონდა ის კარგა ხანია დახურეთ.

— მოსაწონია, მოსაწონი. ასეთი „საქმის უნარიანი“ გამგეობა ჯერ არა ჰყოლია ჩვენს ბედ-კრულ საზოგადოებას“ გვადლობთ მშვიდობით განახეთ?

— გზა მშვიდობისა, ბატონო ჩემო.

ბანკის ბაღში.

მე აჩქარებულის ნაბიჯით გამოვედი კანტონ-რიდან და ბანკის ბაღში შევუხვიე. პიხბრეს: დღეს გამოჩენილი ქართველი ქალი თამარა კოტინი ქი-ლაობსო. ქიდაობა საზოგადოთ ძლიერ მიყვარს, მაგრამ ჩხუბის მეშინოდა. ხუმრობა საქმეა, ვინმე მოსიერნე გაგიზმობს „ნა პარუ სლოგ“ და იმ-დნს გიბინიკებს ნახევარი ვერ დათვლო. ცნო-ბის მოყვარობამ მაინც სძლია შიშს და მკიცრე ყო-ყმანის შემდეგ შევიცარმა ქალბატონ თამარა კო-ტინის ოთახში შემიყვანა.

თამარა კოტინის ქალი მართლაც ახდენს „ჩემ-პიონს“ შთაბეჭდილებას: დაბალი, ჯიჯგვი ტანისა; მრგვალი პირისახე უფრო სკისას მიუგავს, ვიდრე ქალისას. ეშმაკურ თვალბეჭში მაშინვე შეატყობთ, რომ სპირტულების მოყვარულია.

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეარცხვენთ ჩვენს მრავალ ქირახულ მამულს? შევეკითხე ქან-თამარა კოტინს.

— აბა რა მოგახსენოთ, ინგლისის ჩემპიონი არ შემიძლია დავიკვებო და დანარჩენებს ყველას დავაწვივებ მგონია.

— სად შეისწავლეთ ეგ სანაქებო ხელობა?

— ნუ თუ პირველიდ გესმით ჩემი სახელი? მიკვირს სწორით!

— წარმოიდგინეთ, რომ პირველათ. მე და არა თუ მე, ჩვენში ბევრმა არ იცოდა თუ ჩვენს მამულს ასეთი გამოჩენილი მოქიდავე ქალი გააჩნდა.

— განა არ გახსოვთ, ჯერ კიდევ «საიუბი-ლეო» გამოფენის დროს დაიდოდა ჩემზე ხმები. მერმე ცნობილი „ბელვიუშია“ ვუმოზობდა და ახ-ლა აქ გვაჩნდა.

— სწორით დიდ მადლობას გიძღვნი ჩენი საზოგადოების მხრით და იმედი მაქვს არ გავგი-კრუვებთ იმედებს.

— რაც გავწყობა თავს არ დავზოგავ, ჩვენ გვარში კვებნა და ტყუილები არ იტანა.

— მართლა, კინაღამ ვადამეფიწყდა, თქვენ გვარს ერთობ ბევრი შეჰყავს შეცდომასში ამბობენ თქვენ უცხოელი უნდა იყოთ.

— Чудаки! რას ამბობთ, მე წმინდა ქართვე-ლის სისხლი მიღღს. მართალია ჩემი ძველები იტალიიდან გადმოსახლდნენ, მაგრამ მას შემდეგ რვა მილიონი წელია ვასული.

— რასა ბრძანებთ! ხო არ გახსოვთ რომელი თათბა გადმოსახლდა: პაპა თქვენი, თუ პაპის პაპა?

— როგორ არ მახსოვს, პაპაჩემი, დიახ პა-პაჩემი.

— იქაც კოტინები იყავით?

— ჩვენა?

— დიახ თქვენი.

— იქ კოტინები რატო ვიქნებოდით. ეს ახა-ლი გვარი პაპა ჩემმა აქ დარიქვა.

— მაშ იქ არ გვართ ცხოვრობდით.

— იქ... იქ... იქ მგონი მესხებს გვეძახდნენ; მგონი მეთქი, კარგათ აღარ მახსოვს.

— წარმოიდგინეთ!

— რა იყო? რა გავივირდით?

— რა გამოვიკირდა და ისა რომ მესხები ჩვენ-შააც ცხოვრობენ. ახლა მშვიდობით ბრძანდებო-დეთ, იმედი მაქვს არ შეგვარცხვენთ.

— რასა ბრძანებთ, სრული იმედი გქონდეთ... დიდთ ნასიამოვნები გამოვედი ბანკის ბაღი-დან. თამარა კოტინი ფანჯრიდან მემშვიდობებოდა, ვიდრე კიბეზე არ ჩამოვედი და „ზაკავაზიეს“ რედაქციისაკენ არ გავმშურე.

„ზაკავაზიეს“ რედაქციაში.

ყველა რედაქციებს თურმე საკუთარი არშინით ვზობავ; აქ უცუბ განცვიფრებაში მოვედი! მითხრეს: აქეთ მოზრძანდით რედაქტორის კაბინეთ-შიო. მეც ვიახელი, თუმცა შიშითა და მოკრძა-ლებით.

რედაქტორი, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, ერთობ თავზოხანათ მომიწყობა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? რუსული ქა-თულით მკითხა მათმა ბრწყინვალეობამ. მე გულში ჩამეტყინა და გავიფიქრე: „ყველფერთ, ოღონდ მუშტით ნუ მეთქი“.

— მინდა თქვენი აზრს გავიგო თანამედროვე კითხვების შესახებ; აღერისიანდ ვუპასუხე მეც და ცოტა არ იყოს გვათამაშლა.

— რის აზრებით ჩვენ აქ არავითარი აზრები არა გვაქვს...

— არა, ისე მინდა ცოტა რამ „მიმინოს“ ის-ტორიის შესახებ გკითხოო.

— რაო? ჩვენ აქ არავითარ ისტორიის არ ვა-რიგებთ.

— როგორ არ არიგებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აი „გუშავში“ რომ დასწერეს თქვენზე...

— „გუშავში“ რასა ქვია?

— გუშავი ვაზეთია, თავადლო.

— რა ვაზეთი? მე ვაზეთს არა ვკითხულობ. ჩემთვის სულ ერთია!

— მაშ პოლემიკას როგორ ეწევით?

— მე ვაზეთს არა ვკითხულობ, გაიგეთ? მე პოლემიკის თავი არა მაქვს, რას მიქვია პოლემიკა? აი ჩემი პოლემიკა, ხედავთ?

თვალის დახამხამებში თავადმა მარჯვენა ხელის თითებისგან ერთი ისეთი სიმრგვალო შექმნა და ისე მრავალ მნიშვნელოვანად დამიყენა ცვირ-წინ, რომ უნებლიეთ უკან დავიხიე.

— აი ჩემი პოლემიკა! ხელმეორედ ჩაილაპარაკა რედაქტორმა და საშიში იარაღი ძირს დაუშვა.

— მაშ თქვენ ვაზეთში პოლემიკის არ აპირობთ?

— მე არავისი არ მეშინია! იცოდეთ ჩემთვის სულ ერთია! ვისაც უნდა ჩემთან ანგარიშის გასწორება მე მუდამ მზათ ვასლაგართ; ამისთანავე ვისაც რით ენებოს: გინდ მუშტით, გინდ კეტით, გინდ ხანჯლით. ჩემი პოლემიკა აი ეს არის... აქ კიდევ ერთხელ და უკანასკნელათ წამოიჩვენა ის ბაბილონის გოდოლი, რომლითაც დამსახურებული რაინდის სახელი მოიპოვა მათმა ბრწყინვალეობამ.

— უკაცრავათ თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, გიორგი ამილახვარის შესახებ თქვენ ვკონებ „ჩვენი აზრი“ გეკამათებოდათ?

— „ჩვენი აზრი“ რას მიქვია? ჩვენ დიახაც ჩვენი აზრი გვაქვს, მაგრამ ვერავინ ვერაფერსაც ვერ გვაწყენს.

— თქვენ აღბათ ვერ გაიგეთ, თავადლო. „ჩვენი აზრი“ ვაზეთის სახელია.

— ეგ რომელ ენაზე იბეჭდება?

— როგორ თუ რომელზე, ქართულზე.

— სულერთია! მე ვაზეთებთან საქმე არა მაქვს. არც კი გამიგონია მაგეთი სახელი.

— მაშ თქვენ სულ არა კითხულობთ ვაზეთებს?


— რათ უნდა ვიკითხო? ვისაც ჩემთან ანგარიშის გასწორება უნდა მე მუდამ მზათა ვარ. ვისაც რითი ენებოს. ჩემთვის სულ ერთია: გინდ ხმლით, გინდ ხანჯლით, გინდა მუშტით. მე არავისიც არ მეშინია! ჩვენ სხვა საპოლემიკო იარაღი გვაქვს.

— რა ვაწყობა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით, კეკელას უთხარით, რომ მე არავისი არ მეშინია; ვისაც ანგარიშის გასწორება უნდა მე მუდამ მზათ ვარ რითაც კი უნდათ.

უკანასკნელი სიტყვები კიბეზე მესმოდა და გაჩქარებული მივეშურებოდი „ივერიისაკენ“.

ეშმაკი.



ს ი ზ მ ა რ ი

აბდულ-ჰამიდმა სიზმარში მაჰომედ ალი იხილა და უთხრა: „შეწერე მგორბათო თუ ვალჯურ გმინია, მაგრამ ყაზახთა ბრიგადა კარგი რამ გაგიჩენია! სხვამ ჩავაგონა ეს აზრი ან თუ შენ მოგიგონია? ის რო არ გაყადეს, ამდენ ხანს დამარცხდებოდა მგონია. მადლობა ალლახს, გამაგრდი, შერჩი სამშობლოს მცველათა, თორემა გაგიხდებოდა ხალხი მტრთო საწიქნელათა“.

მაჰომედ ალიმ ყოყორი მიუგო აბდულ ჰამიდსა, — რას მოვესწარით, ძმობილო, ამ აჯანყების ამინდსა! ჯერ იყო ხალხი მფარველი გავინაწყენეს ჩრდილონსა, ახლა ვილაც „ყაჩაღს“ სურს ტახტზე რო შემეცლონსა. მაგრამ მოვეცეს სიკაცხლე, მე საქმე უყუე იმათა თოკებზე ჩამოვიკიდევი ფეხების გასაქიმათა. მეველისის ნანგრევებზედა ავმართე სასრობელანი

და ჩამოვიდევ ბაწრებზე
ვინც მაწუხებდა ყველანი.
— სხვაფრივ, ირანის იმედო,
აბდულ არ გაგიპირდება,
ახრჩვე და ახრჩვე, ვიდრემდის
თოკი არ გაგიძვირდება.

— შენი საქმე და სახელი
წინ მიდგას, ჩემო კეთილო!
განა ცოტა ჰქენ საქმენი
მეფეთა საგაკვეთილო?
ვინა ხედვიდეს, არ ბაძოს
ნასაქმურს შენებურებსა?
რათა ღირს მეფე, სიავს
რომელიც დაიშურებსა?
შენ იყავ ჩემი იმედი,
შენობა მენატრებოდა
ვკვდებოდი ოდეს ვხედავდი
რო მთვარე შენი კრთებოდა.
დღეს, მაღლი ალლახს, დათრგუნე
შენ მტერთა შენთა ძალები
და მიიშალენ, გაქარწყლდენ
მუხბაღნი შესაბრალები.

— ოჰ, რა თქმა უნდა, დამარცხდა
დაჰყარა მტერიშა აბჯარი!..
შენ ცოტა მიან დაგყარა
რომ არ გივარგა, ძმავ, ჯარი.
ხალხი თუ გებრძვის, ძვირფასო,
რას გიზამს ერთი ბრიგადა:
ურიცხვი ნმალი გქირია
ურჩ ხალხთან შესარიგასო.
უნდა დარაზმო მრისხანე
„ჰკა მავასაო“ დასძახო,
და ურჩობისთვის ბედკრულეგბს
სულ „გი დედა“ აძახო“

აბდულმაიც იშტა მოსულმა
დაჰკეცა, დაიდროლა...
გამოეღვიძა ახსნა...
მოხუცს დარდების იალა:
ირგვლივ მაღალი კედლები
არტყია „მეფის“ ბინასა,
ყარებს დარაჯნი იცავენ
უკანასა და წინასა.
არც იცის ქვეყნად რა ხდება
წარსული არცა მდგომარე...
არც ისა: ალი მაჰომედ
ბესტში რომაა მდგომარე.

ეშმაკი.



ორი ეშმაკი.

ზარ. ეშმ. როგორ? ძლიერ გაჯავრებული
იყო?

მეორე. მტერს ძმაო, მტერს შეეყაროს ისეთი
გაცეცხლებული!

ზარეული. მართლაც და ქონდა საბუთი გამწყრა-
ლიყო! მისი გულისთვის საწყალ გაჩეჩილამეს კი-
ნალამ ერთი ალიაქოთი აუტახეს. ვის რა ხელი აქვს
ვაქრის აწვარიშებთან?

მეორე. არა, стой братъ, равняйся! ვაქარი
ვაქარია, მაგრამ აქ საქმე ხელის მომწერლებზე და
საზოგადოთ გამომცემლობაზე.


ზარეული. ჰო და რაც უნდოდა იმ კაცს აიღო
და ის გამოსცა. ვის რა საქმე აქვს?

მეორე. ვა, გეთა! გეუბნები ხელის მომწერ-
ლებს დიხაც რომ აქვთ საქმე იმ წიგნთან, რომე-
ლიც მათი საშეაღნებით იბეჭდება და შათ ურიგდე-
ბათ.

ზარეული. მერე? არ დაურიგა თუ რა? ჯერ
„დროებაშიც“ კი ეწერა: „მშვენიერი ყდები
აქვსო.“

მეორე. შე კაი კაცო ყდებისათვის ხომ არ
მოუწერია ხელი იმდენ საზოგადოებას? ისინი წიგნს
ელოდენ:

ზარეული. მერე? მარტო ყდა ხომ არ ყოფი-
ლა?



მეორე. კარგი ერთი მამა-გიცხონდება, ჩვენ ერთმანეთისას ალბათ ვერაფერს ვერ გავიგებთ.

პანგულო. კარგი, კარგი... შენ ერთი ის მითხარი, მთავარ ეშმაკს რაზე მოუვიდა გული.

მეორე. ის „ჩანგის“ მონიბლიოგრაფზე განრისხდა. რომ წაიკითხა, მაშინვე მიაწერა თურმე ბოლოზე:

ენცხა ავი „შეფელი“
ალბათ მოუნდა წკეპელი-“ო

პანგულო. მერმე რა იყო იქ საწყენი?

მეორე. რა იყო და: ჩემი მიზეზით სრულიად უღანაშაულოთ ლანძღავენ კაცსო. გაჩეჩილამემ მშენებელ იყო და, რომ არც ერთ განაწერს მის „ახალ ჩანგში“ დასაბეჭდათ არ დავანებებდი და არც მოუთავსებიაო».

პანგულო. ვითომ რა ამბავია?

მეორე. ალბათ აქვს ამისი მიზეზი, თორემ ზეპირათ ლაპარაკს ხო არ დაიწყებს? ერთი ნაცნობისთვის ეთქვა ამის შესახებ:

„მიხვილ განჩილამე
ერთი უბრალო ჩაჩჩია,
რათ გიკვირთ ვეფა-ფეშაველას
თუ გრიშაშვილი არჩია?-ო
რა ესმის წიგნის შედგენის,
ზის უმეტრების კურთხია...
მწერლობის ცოდნა კი არა,
ლუკმები მიაქვს ყურშია“-ო

მართლაც რა მიხა განჩილამის საქმეა „ჩანგების“ შედგენა! ერთი დამხრჩვალი კალენდარი გამოიწყო და იმას ვერ გაართვია თავი და ბოლო.

პანგულო. რა ვუყოთ შე კაი კაცო, ჯერ არაფერი ესმის, მაგრამ ახალგაზრდა კაცია და ასწავლის.

მეორე. ერი ჰააა! შენ იმასაც იტყვი, რომ ჯერ სულ ბავშვია და ნიკიტ ბლომთ ეტყობაო! ღვთის მადლით ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ოტისკე-ბისა“ საქმეში გამოიჩინა ნიკი.

პანგულო. ვაფა-ფეშაველა იმისთვის გამოირცხა მწერლებიდან, რომ მედიატორები იყვნენ; ეს ჩემი აზრით სულაც არ არის დანაშაული: გემდურე და რა გინდა ძმაო, ძალაზეა!

მეორე. ძალაზე არაა, მაგრამ ხომ უნდა უსაყველურო კაცს დანაშაული?

პანგულო. ერთს არ ჩაუწერა, მაგირში სხეები მოიმაღლიერა. ვინ სხეებია ნეტავი შიგ ჩაგდებული?

მეორე. მოიცადე და გაიგებ. მთავარი ეშმაკი უყურადღებოთ არ დატოვებს ამ საქმეს.



მისხპირული.

(რ. გ. მთავარ სახელოსნოს მუშათა ნაწილისთვის.)

ამდენს ხანს ორნი ვიყავით მიგჩანალბდით გზაზედა, მტრათ ავეკიდეთ ერთმანეთს ვუზლიდით სწორაზრით სვლაზედა. ხან, მუჯღუგუნებს ჩაეკრავდით ხან კეტს ურტყამდით თავზედა, ხანდისხან დაუნდებლათ თავსაც ვუზლიდით ქვაზედა. ორივე ჩვენის აზრით ვიჭირობდით მომავალზედა, ორთავ გვიწოდდა: სიმშვიდე, სიმართლე ქვეყანაზედა. *) მაგრამ დავესტადით ორივე ქანც მორეული ძალზედა, ერთმანეთს ღონე შევილით დავცივიდით შარა-გზაზედა. დავრწმუნდით შეცდომაშია,

*) გავიწყდა ეშმაკი ამ ლექსის წაკითხვაზედა

ვიფიქრეთ ერთობაზედა, *) მაგრამ გამოჩნდნენ მტერები და ისევ გაგვეყვანა შეზნედა, თუმც ძველებურათ ერთმანეთს არ ვსდევდით სიტყვის თქმაზედა. ჩვენ სხვანიც გვეყავდნენ მოძმენი სასყილათ, დიან ძვირია ახლა გაგვექცენ, როდენსაც მათებრი სხვებიც გვეპირია. დაგვტოვეს ობლათ მუხთლებმა გაგვზადეს ანატორია, პირ ბადე ჩამოახადეს ზედ წიათხუზნეს კირია. დადამეს ყოველი სიწმინდე ურცხვათ იბრუნეს პირია, არც სწოთლდებინათ თუმცალა საკმე ქმნეს გასაცვირია. წითელსა თერთათ ყილიან სიმართლე მათგან ძვირია „სხვის თვალში ბეწვსა ეძებენ“ თითონ კი უძვეთ დირვა. მათ რომ ვევახლოთ სტერიითა არ ვიხამთ მგონი სამრახსა, საკმე არც იმით წახდებნის თუ ვახლებთ წვერით მათრასსა. რომ პირად ინტერესისთვის არ უკუთხებდნენ ყველასა, რომ ჩვენდა აღმოსაფხვრელათ ზეცას არ სთხოვენ შევლასა. თორემ უბრალოთ იწყებენ ბოლო ვაშს თითზე კანებასა უბრალო მეტყველებათა მოგვიწამოავენ სმენსა.

ვსჯიქ
ალ. ზაგლობა.

*) აქ კი სიბრაზით ეშმაკსა თიბეი აღუღა ყალბზედა.
რედ.

მოკითხვის უსტარი ეშმაკს.

ეშმაკო შევეკვ ცოცხზედა ხელს მუჭავა შენი ფორმანი, ჩამოვიარე სოფლები ვიხილე ღირსნი ყველანი.

პირველ ვესტუმრე გურიას. გავეშურე შემოქმედის ბერთა საყუდელისაქან; აქ მეგულეობოდა ღირსეულნი მათრახისა უჭებად. წინამდვარი სახლში არ დამიხვდა; ჩემზე აღრე მისულიყო კუდიანი შიკრიკი, ემხილდებინა და ისიც აღმოსაყლეთისკენ

სადაჩოთ წარმართულიყო. დანარჩენი ბერები კი თავიანთ თავს თვითონვე იმათრახებდნენ. უცლომ ღმერთი გაგვირისხდა, არ ისმინა ჩოქვითი ვედრება ჩვენი და წვიმა არ მოვიდოდა.—დაეკეტე მონასტერი და დავეში დაბლა ჯეარზე, სადაც მამასახლისი დამხვდა „დაქიშმანებულნი“.

თავი მოვიმდიანე, გულ-შუბლ-ტურნებზე ხელის მიღებით ვესალამე, ამბავ-ხაბარიც ვკითხე.

— ნევარ ნეოქ ყარდაშ ეფენდუმ, რამ დაგაქიშმანა უღვაშებში გეკუბრანე მეთქი.

ფიდა ძიაც ქობლეთში კაი კაცის შვილი ვიყავი, აქნაჩი ჩემი კაი კაცობა ბურმა ვერ მიხთა, მარა მოგეცა წყალობა იგნეს მე მათრახით ქკუსა ვასწავლო. ჯერ ჯერობით მევირ აბდალაი მევიყვანე ქკუაზე. აქედგან სხვაან გადაყვანა დამიპირეს, მარა (შემომხარჯოდა ცოტა ცარა) ოზურგეთის ღიღმა ხოჯამ გადამარჩინა, მეხმარია რაც შემოქმედში კაი ქალები და კაცები იყო, უჩიტლებიც კი ერია შით, დავაკურდენ ისთველე დამტეის და ბეუჯის პირზე კაი პიკიკაც ვაპიკეთეს.

— ვინ იყო ვინ მოგებნარა ეფენდი მეთქი უთხარი, მარა მიპასუხა: აგი ჯერ სეკრეტიაო. მე მაინც არ მოვეში „იქი“ ყავეზე დავატაეე „ნარგილი“ მივართვი, მოქედლილ კავკაურ მათრახს ვებირდი და მერმეთ როგორც იქნა ყველანი ჩამოვათვლენენ. ამამოში პირველი დასტურ ოზურგელი ნოჯათ ხოჯა გამოდგა, სამი „უჩიტელი“, ერთი „ჩუტუ“ უჩენიკი, ერთი კაპიტანი, სხვები ვანო ვაბრიელის ძე, ვანო გიორგის ძე, ერთიც პაწე ხოჯა სხვებიც ისე წვრილ ფეხობა, რომლებიც მდამლათ შენს წინაზე თავს იხრიან და მოწინავეთი სალამს გიძღვენან. კოწუ მწერალიც ძირიელ გკითხულობს, თან საყვილურს გიცხადებს, ამდენი ნისი დავიწყებისათვის.

შემოქმედლიდან დაგზაშუმა ჩამოვილი აქ დამწერებს მიტინგი ვაგმართათ: ქან ნინას მისართმეე აღარეს ამზადებდნენ და „ცნობის ფურცლის“ რედაქცილიან მიღებულ ფულებს ანაწილებდნენ. ბევრმა ამითგანა მოგვიკითხა: ჩვენ ვიყავით იგი ბიჭები, ქონებასთან ერთად სულიც რომ დავეწით, დამხმარე კომიტეტის წევრები დავაქვინეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეშმაკის მადლობას ვერ ვეღირსეთო. კანცელარიაზე გავედი აქ დამხვდა ახლათ „გადადინებული“ ესე იგი გამამასახლისი ტელუი გირკელიცა. ამ დელიანდს შვადლენზე დასძინებოდა და მთავრობის სტარშინობა დასიზმრებოდა, ხელში მათრახი ეჭირა, იგინებოდა. თან ჩოკუზე სამიკიტონში ნახარჯს იფულზე ვასაწერათ ანგარიშობდა, თან ღიღინებდა „სად ხარ, ნოე მწერალიო“—ო.

როგორც კი დამინახა შენთან გულით დი მო-
კითხვა დამაბარა. ჩავეყვი ჭაღისკენ ბახყურში ილი-
კო „თითურა“ შემეფეთა, დამიწყო რაღაც რომა-
ნიულ ამბებზე და ვილაცას გაუბედურებაზე ლაპა-
რაკი: „ძალიან მიხარია, რომ ეშაკი ამ გვარ საქმეს
არ წერს თავის ვაზეთშიო, ამის გამო მე და ჩემი
მართალი მოწმეები ეშაკს მოწიწებით მიგვიკითხა-
ვითო; მე სიმართლე ვითხრა ვერ გავიგე ვერაფერი,
კარგი მეთქი უთხარი გავედი შოსებზე. მინდოდა

შურე. მალე ხიდისთავანაგომრის დიდუფენა წამო-
მეწია. ისეთი ხალვათობა იყო როგორც სხვათა ჯა-
ყელის დროს ციხეში. ასალოიანებ ოცდა ოთხი
იჯდა შიგ—ცხენები შემეცოდვა და მეოცდახუთეთ
მეც დავჯექი მით უმეტეს კოზლიდან კოლანდამე
სტრავი მებატიეებოდა, მეც გვერდში მოვჯექი.

ჩავედი ოზურგეთში—იქიდან სხვა და სხვა
ადგილები დავიარე, მაგრამ ეს შემდეგ. ახლა ვთხოვ
არავინ მომიღურო და ვისგანაც მოკითხვა მოგარ-
თვი მიიღე და მოიკითხე...
უტუშ!



შვილი. ახლა ამ კარდალასაც ხუცესი წაგვართმევს ნენა და რაღა უნდა ვქნათ!
დედა. ოჯახში ხიჩკი აღარ გვაქვს შეილო! და კარდალაი რაღათ გვინდა

ოზურგეთში ჩავსულიყავი, მაგრამ ჩემდა საუბედუ-
როთ გზაზე რომ გავედი დამახველა უტებ უკანიდ-
ან ტუნტაქლის ხმა შემოამესმა, მოვიხიდე უკან და
ერთი კაკარლოსანი უჩიტელი მომდევდა ხელში ტუ-
კით. ის ის იყო უნდა ედრუზებია ბზის შავი კეტი,
მაგრამ მიცნო და პოღნიში მოიხიდა—შენთვის მი-
პატივებია, რადგან ეშაკის მოციქული ხარ, თო-
რემ ისე ცოლი რომ შევირთე მერმეთ ამ ქუჩაზე
ხველა ავკრძალეო, ამანაც მოკითხვა დამავლა ვად-
მოგცე. ტარტაროს მადლობა შეგწირე და გავე-

შ ა რ ა დ ა .
გამჩენსა ვფიცვე შარადას
არ გავებნელებ ამასა:
არა შევაზთხვევ მკითხველებს
მითი სირცხვილის კამასა.
შინაურ ფრინველს ვეძახით
პირველ-საქირო სახელსა...
(აღობათ ღალატობს თვალები
ჩვენში მის არა მნახველსა.)

მის არ უქებენ სიარულს,
არც ჭკუას, არცა ფრენას...

(მარტო-ლა რომი უხსნია
ერთხელ მით კრიბ ენას.)
აი ამ სიტყვის ბოლოზე
მოწყვეტა უნდა ანბანს,
(დაუსვით ხაზი პირ და პირ,
ნუ კი დაიწყებთ ყაყანას!)

ამისა შემდგომ მონახეთ
ჩვენ ში ქალაქი პატარა...
(უფრო დაბაა, რადგანაც
ქალაქის სცხია არაა.)
სძეგს დასავლეთის ნაწილში
ფაზისის დასამხარადა...

არც მრეწველობა, არც სხვა რამ
არ უღირს ერთ გროშ ფარადა.

მიაწყვეთ ერთი მეორეს
და ახალს პოვებთ „ცნებასა“,
„ქართულის“ ხელში „ფრანგული“
რო მოგაყენებთ ენებასა.

მწერალის ფსევდონიმა
ჩვენ ში ცნობილის კარგადა,
(ვისა მიიჩნევს მკითხველი
გონება დანაკარგადა.)

„შინაურ მტრებთან“ ბრძოლაში
მუდამ ხმალ-კაბარქუელის,
გრძელ-გრძელ და ჰაეროვანსა
სტატიებს გამოჩეულის...

ქართული კაპიტალისთვის
მრავალ-გზის მელან-ნთხეული,
„დროების“ გვერდზე კუნტრუკობს
მედიდურ კულ-აწეული.

ერთხელ „ლაშქარიც“ მოიხმო...
თუმც არ შემოკრბა წვეული
(ქარის წისქვილთან ბრძოლას რომ
ეპირებოდა წყეული.)

სხვა და სხვა „მოდერნებშიაც“
ხშირად გინახავთ ხვეული,
(თუმცა კილო აქვს ყოველგან
ურცხვი და პირახეული.)

კოლო.



კებრია გულსვაიამი

I

ვერ დაჰყევდა სოფლის ბედსა
ასე ძალლი, კულა-ძუა,
რომ შიგნით არ გასწენოდა
თვითონ სოფელს ქია-ლუა;

მოსულს მტერსა გაუძღვებდა,
ჰქონებოდა რაგინდ ძალა,
რომ შიგნით არ ასტებოდა
ყოველგვარი „მჩანჩალა“...

„ბებურა“, თუ „ესია“,
„ეფრემა“, თუ „პეტრიელა“
ესაა, რომ სოფელს სისხლი
გამოუშრო, გამოსწველა.

ვსთქვით „პეტრია გულსვაიამის“
შენ არა ხარ მაღლიერი:
სადაც იყო მისდა მიმართ
წაცლა სიტყვა, შესაუერი;

შეგჯადრე, რომ ის სხვას სჩაგრავს,
მაგალითად:—მეზობელსა,
ან და ქერივი დაიჯაბნა,
ობლის სახლ-არის ტაცებს ხელსა,

ან სხვა რასმე მსგავს საქციელს
იგი სჩადის დაუსჯელათ
(ქვემოთ ჩვენ მოგიყვებით
ამ საქმეზე უფრო ვრცელად).

ჰო და, ამ გვარ საქმისათვის
თქვენ პეტრია განაწყინეთ,
მისი ესდენ გალაღება
სოფლად რომ ვერ მოითმინეთ.

მერე იცით, რას სჩადიხართ?
თქვენ ამისთვის რა მოგელით?
ეგ კობაა, თუ გადარჩით
მარტო ერთ წელს ციხე ბნელით.

ციხე ქვეყნისკენ ხუთის წლითა
თუ აგვიდეს საგზალობარგი,
ან შენ ხარჯზე სახლვარ გარეთ
თუ გაგიშვებს,—ესეც კარგი.

მაგრამ ვაჰ, თუ „ასი მუხლის“,
ან „ასორი მუხლის ძალით“
რაიმე ცილ დანაწამი
გსაჯეს ამდროს სამართალით!...

მხოლოდ მაშინ შეძლება,
თქვენ გაიგოთ იმის ძალა,
თუ რას ნიშნავს ვინმე „პეტრე“,
აგი სოფლის „მაჩანჩალა“...

II

„ნარიანი“ სოფელია,
მთის კალაზე დაგებული,
ოღორაოღოროს, უსწორ-მასწორს
ბოლო აქვს დავაყებული.

ამ ვაკეში მოდულუნე
მდინარისა პრტყელი ზოლი,
იკეცება, და კრიალებს
შზის სხივებ ქვეშ როგორც ბროლი;

მის პირებზე მინდვრებია,
სახნავი და მოსათესი,
თვალ წარმტაცი სანახავი
არ იქნება უკეთესი;

მალიდგან—მთა, ქვეშ სოფელი,
ძირს—მდინარე, მომღვლეარე,
და იქით კი ვაკეებათ
დაფენილი არე მარე;

იქით—გზა, იქით კიდევ...
სხვა მიდამო, სხვა სოფელი...
ყველა ერთად წალკოტია,
სანახავად სანატრელი!..

„ნარიანის“ შუა გულსა
მალლობია აღმართული,
საიდანაც ეგ სურათი
მოჩანს, როგორც ხელის გული.

ამ მალლობზე მედიდურად
დიდი ოდა სდგას, ფიცრული,
ქვის ბარჯგებზე დაბჯენილი,
ქერაბინით დახურული;

წინ მოუჩანს ფართე ეზო,
შკერის ღობით მოფარგლული,
და ზედ, მეტი სიმეგრისთვის,
თხრილები აქვს შემორგული...

აქ სდგას პეტრე გულთვანაძე
სოფლის ერთი მაჩანჩალი,
თუმც სოფელში გულთვანაძეს,
ვიციტ, რომ აქვს დიდი ძალა.

—სამ წელიწადს ვსუდიობდი,
თორმეტს—გემამსახლისობდი,
ამდენი ხნის სამსახურსა
უსასყიდლოთ ხალს ვუთმობდი“...

ზშირად პეტრე თავის თავზე
მოუთხრობს თვის მაცურებელს,
და ჰფიქრობენ: „მართლაც მამა
ჰყოლიაო ამ ერთ სოფელს!“..

ნამდვილათ კი ამ პეტრეზე
კუდი რამ ხმა დადიოდა:
თავის ხანგრძლივ სამსახურში
იგი რას არ სჩალიოდა!...

უქრთამათ ხომ მასთან ცაკი
თხოვნივ ვეღარ მიდიოდა.
(პეტრემც ამით შეიძინა
აგი ეზო აგი ოდა).

მასთან ბლომა ხალხის ფული
შეუმჩნევლად გადაყლინწა,
გასუქდა და გაყოყოჩდა,
როგორც ერთი მამლაყინწა;

ბევრი ფული გააცესა,
ბევრი მიწა შეიძინა,
ძვირფასი ნოხ-ხალიჩები
სახლში კედლებს ზიფინა.

დიდხანს თალა მან სოფელი
გამოხრა და გამოსძვალა,
და უმართლოდ სოფლიდ ბევრი
დასჩაგრა და გააწვალა.

მაგრამ ვიციტ, რომ „არ ძილულს
კოკას მუდამ ზიდეა წყლის,
რომ უსახლვროთ ვერ იდინებს
საქმეც სოფლის მაჩანჩალის.

ასე პეტრე გულ სევადის
ბედმა დიდხან ილიდინა,
მაგრამ ბოლოს შავი ხისლი
მასაც უხვად მიეფინა...

III

თავი როგორც კი წამოყო
სოფლად ხალხის მოძრაობამ,
თვისი ბედის დასარული
წინათ იგრძნო ამ „ობობამ“.

და შეიქნა „ჩუმი ამბის
ჩუმიად მიმტან მომტანელი,“
თუმცა მისი ოინების
გამომხელა დარჩა ძნელი.

სიტყვით ხალხის მოძრაობას
ახარებდა და მოსწონდა,
იმის ერთგულ თანამგრძობათ
ხშირად თავიკი მოჰქონდა.

მაგრამ მარტო ტკბილი სიტყვით
ავ გაზარახებებს ვინ დამალავს?
პეტრეც თავის ოსტატობით
თავს ამაოდ დაიდლავს.

ხალხი რომ მოღონიერდა,
პეტრეს „ჯაჰკვხე“ შეედავა,
უთხრა, რომ აწ საქმაოა
რაც მან ხალხი გაატყავა:

— „დავივიწყეთ ის. რაც იყო.
აწ ჯაჰვი სხვას დაულოცე,
ავი ზნე და საქციელი
მოიშაღე, წარიხიოცე.

ყველას გაუთანასწორდი,
ნუ-ღა უტკერ მოძმეს მგლოურად
და გარწმუნებთ, რომ შეგიტებობთ
ამხანაგურ მეზობლურად.

თუ არა და... შენის ქვევის
განგრძობის გაქვეს სრული ნება,
მხოლოთ ბოლოს რომ ინახო,
ჩვენზე ბრალი ნუ იქნება!..“

ამაჲ პეტრეს თუმცა მკვავებ
ვგ სიტყვა არ ებიტნავა,
მაგრამ ენა არ დაუძრავს
საქმე უხმოდ გაათავა.

რადგან კარგათ იცოდა, რომ
ეხლა ხალხში იყო ძალა

და მასთან რას გახდენოდა
პეტრესთანა მაჩანჩალა!

მხოლოთ გულში საიდუმლოთ
მან შხამი შემოინახა,
თუმცა-კი საქმით ასრულება
მისი ჯერ ვერ განეზრახა..

6. ზომღლეელი.

(გაგრძელება იქნება.)

ემქაკის ანდახები.

„ბატონსა“ ჰკითხეს:— ყმაწვილო,
გვრე რათ იღანძღებო?
— რა ვქნა, უნავიის დავამტრევე,
რაკი ცხენს ვეღარ ვწვედებო.

„გველსა ხერგლით გამოიყვანს
ენა ტკბილათ მოუბარია“,
გუნისას არ დარჩება
არსად დრამა მოუბარია.

„არა შეჯდა მწყერი ხესა,
არა იყო გვარი მისი“,
მოგკეთ ენა „ივან“-ისა“
და მუშტები „ვიგორისი“.

„ავი საქმე, ავი სიტყვა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“
არ შერჩება ცბიერობა
„ივერისი“ მოციქულსა.

„გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუდომელი“,
იცნობდეთ ლობჯანიძესა
ქუტებში დაქპრის რომელი.

გ ა ს ა რ თ მ ბ ი .

— ძმარ თედორე, მოპიქუნე სადმე თეატრის
მახლობლად სამი ოთახი, თვეში ოთხ თუმნად ლი-
რებული.

— რას ამბობ, კაცო! უფრო ადვილია გვაზა-
ვას პოეზიაში აზრი მოსძებნო და გუნისას დრამე-
ბში ორგინალობა, ვიდრე თბილისში სამი ოთახი
იშოვნო და ისიც თვეში ოთხ თუმნათ.



ნაჩილუბი უზმათისადი

სამბრედლის რაიონი! რადგან ზოგიერთმა პირეზმა ხმები გაავრცელეს სად. სამბრედლის I კლ. ბუფეტში ქილაობა არის დანიშნულიო, მეც გავეშურე დასასწრებლათ, მაგრამ ბევრი ლოდინის შემდეგ ქილაობის ხელმძღვანელმა რაღაც მიზეზების გამო უარი განაცხადა, ეს ძალზე იუკადრისა ბუფეტის პატრონმა **მიხა მიჭამემ** გადაზხდა: ეცა იქ მდგომ ერთ პირს, მისწი მოსწია, და რადგან ვერა დაკლო რა, მოიყვანა სადგურის დარაჯი, მაგრამ დახეთ უბედურობას ვერც დარაჯის შეშუქებით დაძრა ადგილიდან, კინაღამ თვითონ კისერი მოიტება აქედან გავსწიე დეზოსკენ. იქ მუშები შეკრებილიყვენ და კამაობდენ რა შინაარსის სამგლოვიარო წერილი გავგზავნათ რედაქციაში, საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო. დიდი კამათი გამოიწვია იმ კითხვამ თუ ვის წავილა წერილი რედაქციაში. „ფოსტას“ თუ კაცის ხელით გავგზავნათ. ბევრი ლაპარაკის შემდეგ რომ „ფოსტას“ ხარჯი არ მოსვლდათ, გადაწყვიტეს კაცის გაგზავნა. დეპოდან ფოსტისკენ შევუსვიე და შემდეგ სურათს წაიწყდი, სცემია გიორგის ალექსი შენგელია გინდა თუ არა 90 მან. მომეცითო. ძალიან გამბვირდა. ბოლოს გამოირკვა შემდეგი: თურმე შენგელის ფოსტის უწყება მიეტანა შემოწმებული, რომლითაც უნდა მიეღო 90 მან. შესვლის დროს უწყება გავადარდროდა და ქარს იქ გადაესროლა, სადაც გიორგი იჯდა. ეს გიორგიმ ვერ შეამჩნია, შენგელიამაც ვერ მიხვდებოდა და კინაღამ მოკუა უსამაოვნობა. ის იყო გიორგის დარაჯისთვის უნდა დაემანხა, რადგან ასეთ ცილის წამებისთვის დაესაჯა ეს უცნაური მაგრამ ჩემი და **ერმალოზის** რჩევით აპატივა, რთი ვერ ისწავლა ამხანაგმა გიორგის ხასიათი. აქედან ექიმს ვესტუმრე, რადგან უცაბედლათ ცუდათ შევიქნეი გზათ რამდენიმე ჯალს შევხვედი რომლებიც ექიმზე ლაპარაკობდენ. ბებრები გაიმახოდენ ვის უნდა დაუჯეროთ სამბრ. ბელურებევით ეიმსო. ექიმებით და

ფერშლებით და აუთიქი ხომ ყოველ ფეხის გადაღვაზნა, მაგრამ ჩვენს ავთიყოუებს არ ეშველო რა დლოცოს ღმერთმა ძველი დროი, რაცხას სოფელში გაღესავდენ დაღვლედილთ და ქე ვიყავით კარ ვაყოლი. ახლა ღმერთმა ნუ მანახოს მისი თავი ვინცხა სტუდენტი არის **ნიკურაძე**, ვიფიქრე ჯამიან მივალ და რაც უნდა იყოს ჩემი რძლის ბიძაშვილი იზას გავაკეთებინებ რაცხა ნენსები მირჩია ექიმა, მარა მოჩინის მაგირათ აგერ ნახვარი გვერდი დამილბეს მგონი, მე უბედურს ქე მირჩიეს სხვას ვააკეთებოდა რა ვიციდი ეს ვილაცა **ნიკურაძე**, თუ ასე მიდლოატებდა ასე ამ რიგათ ლაპარაკში ვიყავით მივაწიეთ ბ. ექიმთან მაგრამ ვერ ნახებ. და ყველანი თავდავიანთ სახლში წვიდ წამოვიდენ. — რუინის გზის ბოლინიცაში რამდენი სტოროჯია, იმათ რომ ყველამ ექიმობა დაიწყოს მაშინ ბოლინიცაში სასტოროჯო კაცს ვერ ვიშოვნით **ნიკურაძე** კი გამოიშდარი და გაიძახის მე პრაქტიკა ბათუმის ბოლინიცაში ისწავლე იქ ვიყავი „სტოროჯათო“ რადგან ბ. ნიკურაძემ დიდათ გავჯავრებული არიან ზოგიერთი პირები მეც მამა შეილური დარიგება მივეცი ბ. ნიკურაძეს დღეიდან, რაც მისი ხელობა არ არის, ნუ ეტანება, თორემ დიდ ეშმაკთან გავაზნულ მეთქი ისიც დათანხმდა და აქედან გავემზურე რუინის გზის ბოლინიცაში რადგან იქ წარმოადგენა ქონდათ ოზურჯეთის რიალური გინახისთვის. ამაზე შემდეგ

ისევ ის ვარ.

ქუთაისი. პატივიცემული ძეო ეშმაკო უმოჩილივცე ვთხოვთ ამ ჩემს მცირე თხოვნას გვერდი არ აუხვიო და მით მტრები არ ვავციხარო. ამის წინეთ რაღაც საქმისთვის აქათ ფოსტაში გავიხრე და იქ ერთი ახირებული ტიპის ვივ. ოსელიანის ყვირილი მოვისმინე. ის თურმე მოთუფურებს დადნარჩენ მოსამსახურებებზე და ამით ვათამამებული ყოველ დღე უშვირ სიტყვებით და ბაქე ბუქობით მოსვენებას არ აძლევს დნარჩენ მის ხელკეთებებს. მე თქვენი უფროსი ვარ და ჩემზეა დამოკიდებული თქვენი ბედ იღბალიო. მე შემძლია ვინც მინდა დავითხოვო და სხვა...

ასეთი მისი უზარო ყვირილი და ბაქიბუქი, მართალი გითხრათ არ შექაშნიკა და იმევე დღეს გამოგვზავნენ წერილი გახსნილი პაკეტი (ორ კაპეიკანი მარკით) და ვთხოვდით რომ „ევგენის მათრასი მოუხდებოდათ.“ თურმე ნუ იტყვიან რაღაც ეშმაკათ ეს გახსნილი პაკეტი მის ხელში მისულა, თუნახა, წაუკითხია და კინაღამ ანთება გაჩენია თანში. იმევე წამს მოუხდენია შეკითხვები იქაურ მოსამსახურეებზე და პირდაპირ მოუთხოვია იმის დამწერი, მაგრამ რას ნახავდა როდესაც იმის გამოგზავნი მე გახლდით სულ გარეშე პირი და არა იქაური ვინმე მოსამსახურე. დღემდე მე ვგლოვდები ბოდი თქვენი მათრასით ქუთაისში ევგენის მოქმედებათა განსასჯელათ, მაგრამ როგორც ვხედავ არ მიგვიღია ის პირველი წერილი. და ახლა განმეორებით გთხოვ არ დაიზარო ორიოდე კლდი მათრასისა განებიერებული მსახურისათვის.

გამაფონი.

ფოთი. ძმაო ეშმაკო! ამ დღეებში აქ „ნოქაჰ პრიკაშნიკებს“ კრება ქონდათ. სერიოზული კითხვა იყო წარმოყენებული. კითხვა შეეხებოდა ხუთ სკოლის მადრიას გაღებას, კარტ, ნარდ, და დომინოს თამაშს. რადგანაც უმეტეს ნაწილათ წაგებულნი რჩებიან, ერთ ხმით დაადგინეს, გამოიწერონ საერთო ხარჯზე „აფერისტ“—კარტოყენიკი.

აქ დაარსდა განმანათლებელი საზოგადოება ლექციების კითხვას უკვე შეუდგენ. ლექციები წაკითხულ იქნა შემდეგ თემაზე. „ლევანის პოეზია“, „საფუთე გადასახადი და ფოთის აღორძინება.“ უშეძლოდეს გენიოსის ქანტურ ფილოსოფოსის* მოღვაწეობა. დასასრულ ლექტორმა გავგაცნო, ლევანის ბალოს ძალიან მოეწონა ლექცია, უმეტესათ ბარონებს, ბარონებმა ლექტორი „ბუქებიანი“ და არა-შეყობით დააჯილდოვეს.

როგორც სარწმუნოა წყაროებიდან გავიგე ფილოსოფოსის ლექსებს* მერჯულათ სთარგმნიან „ახალ სიმებს“ კი ფრანგულათ. ამ ახალ მგონის წიგნებს, იმისთანა ბედნი ეწეია თურმე, რომ გამოამტკიცლებს ორი ათასი ქანჭარი მოუღვიათ.

ილი.

ბორჯომის დეპო.

ძმაო ეშმაკო! აქ მუშები მისცემიან საღაიას ძილს: და ელიან გამღვიებელს მათრასოსანს და გამოკდილს. საზოგადო საქმისათვის თავს არ იცხელ იხურებენ და კარგი თუ რამე უთხარ

შესაკმელათ გიჟურებს^{მეცხე} ეურნალ-გაზეთის გაურჩხ^{მეცხე} როგორც კრუხი ჯორ-მიმინოს... თაყვანს სცემენ სველ ხელადებს და რუმბების წითელ ღვინოს. პოლოცევის მერჯულბებს ბევრმა კიდევ შეატოლა, ძველ-რბილში აქვე გაქსოვილი ლანძღვა-თრევის მათ ბაცილა. საუცხოვო ტიპი არის დღვოს გამე „მონტორი“ ამის მსგავსი, დამერწმუნე არც გინახავს ერთი-ორი. პირზე აკრავს „მალარჩი“ შემოგობებებს როგორც გნახავს, და თუ უარი გაუბედე „საბორეკიათ“ გამოგახავს. ერთ საბარალო მომუშავეს ამ წინაზე უქნა „ჩიჩი“, ამ საშუალოდან გაავლო ისე გაწყრა მალარჩი. დათხოვილი მუშა თურმე შეაშინა ამ ამბავმა და გაგიფიდა, რადგან ტანჯავს ვერ გაუძლო საცოდავმა.

რიმკუსა.

სად. სანაინი. ადგილობრივი ბუფეტის სწორეთ „ხარჩენიას“ მოგაგონებთ. მიჭეხი ის არის რომ მოიჯარადრეები ფინანსიური მხრით კრიზისის განიცდიან, ბუფეტს ვერ ინახვენ როგორც როგია და თავს მაინც არ უჯერებენ. მოსამსახურეებზე მთელი წლის ჯამაგირები მიუტკცმელი აქვე და ამის გამო მოსამსახურეები ტანისამოს მოკლებული არიან და ტიტულები მსახურებენ ბუფეტში და სამხარეულოში. ამას უნდა დაუმბოტო უფროსი მხარეულის მოქმედება: ბატონი ჩაჩუა როცა „ესტაბლიკაში“ გამოდის მატარებლის მოსვლის დროს აუცილებლათ გაღვივლი უნდა იყოს; და თუ მგზავრს მათლაფაში ბორშის წვენი დარჩა, ის ნარჩენი, სუფთა ბორშში უნდა აურიოს! ბევრჯერ შეუნიშნავს მგზავრებს ეს, მაგრამ რა პასუხი უნდა მოსთხოვოს? შულავერის ღვინით დამთვაროს. მხარეული ბორციის მიტემის დროს ბუზუნსაც ბევრს აყოლებს, ალბათ გარნილის მაგიერ. ბუზუმბის ქამას კიდევ გაუძლებდენ მგზავრები ნარჩენ ბორშს რომ ხელ შევრეთ არ აქმევდენ.

სხვა არც ეგვსი მდენის მოქმედება შეიძლება უყურადღებოთ დავტოვით. ბატონმა ევტობიმ ამ დღეებში ერთ სოფელ სოამებს სცემა, იმიტომ რომ სომეხმა დილაზე საღვურში კუ-

რდელი შემოიყენა გასასყიდით ეს დანახა თუ არა ევტრინი მივარდა და საწყალი სომეხი მავრათ მიბეგვა და თან აკინებდა შენ მა...ლო რათ დამ. ნახსე ამ დღოა აღრიახა და კურდღელი რათ დამანახველო. მიშველვ და ჩამოდი თქვენი მათრახით მავათ შესახურებლათ.

ვკურავლი.

თელავი თქვენი უშმაკებულესობავ; როგორც დავლებული მქონდა მოვიარე თელავი აფუარ ჩაფუარე ერსესის და ვანოს ღონახზიებს. შაბათს ხალამოთი ერთ წუთს მოვიარე ღვთაება, ნადიკვარი, ჰანდარი, ბურჯი, ბულგარი. ვნახე ბევრი კოქლი და კოჭოა-კობრა ქალები. ყველა „მათრახ-სა-ლაშარზე“ ლაპარაკობდა და თელავიდან მოწერილ ამბავს კითხულობდა. კარგ გუნებაზე და ძალიან ემაყოფილი იყვენ გოტაძე და ონიკაშვილი, რადგანაც ყველა წინაგები ერთ საათში გაეკიდათ, ვანო, ერსესა, იასე, ბუზგინიანის ბიკი კი სობრა-ხასგან ებილებს აკრატუნებდნენ და მის დამწერს სიკვლილით ემუქრებოდნენ. ვაგიარე, გამოვიარე ყველას პირში უფუჭებდი, ყველა მე მიუყრებდა. ვნახე ჩვენი პედალოთი იოსები თავისი ცალით, რომელსაც გვერდზე მისდებდა ვიღაც ახოვანი ჩოხბანი. უცბათ დადვა კორიანტელი, მჭერით ამეცსო თვალები მეგონამ შუალამისას „დვორნიკები“ ბულვარს ჰგვიან მეთქი ჩამოვდექი, დავინახე კოქლი, რიფა, კაკორღსანი, ხელიში მოკლე ჩაქური ექირა. თურმე ნუ იტყვი ბევრი კვებნით მთელ ბულვარს ის აბუქებდა- იმ დამეს ძალიან მავრა დამძინა. მცირე დილით ქვეშაგები და ლოგანი სისხლით იყო მოაწყული, მთელ ტანზე კი ბევრი ლუღვლები მიჩნდა ვინატრე ახობაძის „კლაპოკნიკი“ და გვესწრე აფთიაქის მაღაზიაში. შორიდან თვალთ მოეკარი აფთიაქის წინ მდგომარე მშვენიერ ასულს მიუახლოვანი, ის დამაცქერდა, მეც დავაცქერდი, მავრამ თქვენს მტერს რაც მესანახავი ვნახე მთელი პირისახე პუდრით ჰქონდა შეღესილი. „ნახასსიკ“ არ დავიწყებულე: ცხვირის ნესტოები, ყურები, თვალები სულ მთლიან გამოქვილილი ჰქონდა პუფრით. შემეკოდა მეფაფთიაქე. ვიფიქრე: შეიძლება სულ ამან დღუბა ამისი პატრონი მეთქი. მართლაც შე. ვიხედვ და ყაფაზეზეც კარიგელი შუშები და ეწყობ. დაბლა პადვლიდან ტბილი „ცახური“-ს ხმა მოისმოდა. ავიხედე, დავინახე ჩვენი დრამატული დასის არტისტები: საშა, ვივიკი, ბეგლარა, კოტე და კიდევ სხვანი. ვიკითხე მიზნები ქეთვას. მითხრეს „და-მისი“ თვის ეშაღდებინო. წაივდი საპარაკებე რომში დავინახე თფლიკელი დოქტორი. დექორა უსარ-მოხარი ვახი და პატარა ბიკს ქიძოს ჰგლეჯდა. იმისმა ღრილობა ნერვები ამიშალა და ჩავდე ქებოთ. დავინახე მაღალი კაცი ჭაჭურით მოსდევდა ერთ პატარა ბიკს-საცოდავი ბიკი ღრიკი-ლებდა: „მიშველეთ მომკლესო“. დამხერაკა გული, თურმე ეს ბიკი ყოფილა იავნაროვის შვეიცრი და

ხაზინი სცემდა იმისთვის, რომ დაზნეული შილიყ-ბიდან ერთი დავიწყებოდა.

ვიყავი შილდაში ამ სოფლის ახალგაზრდობას სამკითხველო საზახუხლო ჩილთის პირას და ჰან-კოტაძის ლუქანში მოეწყობა. ვაგიარე ყვარელში, დარჩირი ერისლეში. ბევრი საცოდაობა ვნახე ამ კურთხულ ქვეყანაში: სიციხე პაპანებაში იდგენ ჯრმებით ავამყოფები და ელოდენ ექიმს. გამოვიდა ექიმი. ახოვანი ყაშვილი. ცხვირზე სათავადები ჰქონდა გაეცხებული. მინდოდა გამეგორა ადამიანი იყო, მავრამ გამოგზავნილი ლუქანის ბიკმა არ მომასვენა: „ბატონო, წამოდი კახაშვილი აღარ იცილის და დღესს გონებით ილაჯი წაიღო, წამო-დი თორემ დღესაც აქ დარჩებიო“ გამისქდა გული და გამოვიწყე დილიჯანისკენ.

დ. შებ—ლი.

ს. გუბი (ქუთაისის მახრა) ძმაო ეშმაკო! მოგხსენებათ რომ ჩვენი გუბი ცოტათ თუ ბევრათ კულტურულ გზას ადგება. მისი მოწინავე ელენენ-ტეხით ცოტათ თუ ბევრათ ჩალაც ფსაც ფსუცში არიან და კუს ნაბიჯით მიიწევენ წინ, რომ თითო ახალი ლიტერატურა და ლიტერატურაში აღარ გველევა. თქვენ ძმობილო არ გგონათ, რომ ეგ ლიტერატურაში უზარალო ლიტერატურაში იყოს: ეს ლუბა გუბელია. ის ლუბა გუბელია, რომელიც ცნობილია მებზობლის ღობე ყორებზე უსახელო წერილების შემოდებით, რაგბს არ ჩამახავს და ცილის არ წამებს მუხბაღელ ამხანაგებს ღმერთმან არ იციის, შენ ამისთანაო შენ გასახოგრობთ არ ვარჯხარო ეს კოქლია და მის სულ ვინ შეხედავ-სო და სხვა...ესეთია ლუბას მოღვაწეობა ძმობილო. მავრამ საჭირა გავასწორათ ლუბა, ვავატაროთ მათ-რახის ქვეშ. და თუმც სიმართლეს არც მაშინ იტყვის მერმეთი კი საჭირა თქვენი მათრახის ძალა. ექვი არაა მალე მოგხიბებათ ძმობილო აქეთვე მოგზაურობა და რალა გასაკვირველია ჩვენს ლიტერატურაში ლუბასაც იწახუოებთ. ლუბას კითხეთ იმ წერი-ლებს რომ წერდათქო ცნებოათ ვინ გაყვდათქო? ლუბა გაიფიქრებდა: მავრამ მაშინ მის მოაგონეთ მისი მესაიღუმე თეო (მძიაშვილი) და ორ-დესაც ლუბას მოაგონებდა წასრული დრო და გაიხსენებს უსახელო წერილებით ამხანაგების ქებას რომ სწერდენ მაშინ დამშვიდდება და სიპართლე-საც იტყვის. ევადეთ ძმობილო სიტყვა არ გამოე-ტყულოს, რომ შენდევში მასალა არ ექნეს და მისებურ თხუზნა ვაზეთში არ გამოგვიკოს. იქნებ ეშმაკჯან, ლუბას მამა ვაწყრეს, მავრამ უთხაროთ თქვენ მართლია ხართქო და თქვენ რომ დღეფიქეთქო ისეც მართალი არისთქო, მხოლოთ შენი ლუბაა დანაშავეთქო ესე და ამ ვავათ ძმობილოჯან შენ იცი რომდენჯერ გადაკრამ ლუბას შენი მა-ღლიანი მათრახის წვერს, და მოიყვანთ ქუაზე.

გურული მეთვალყურე.

წამილები რადამციის მიხარტ.

ბ-ნო რადამცირო! თქვენი მათრასის... უკანასკნელ ნომერში (№ 10) მოთავსებული იყო ცნობა: „წყნეთის ქუჩაზე ტრავმის მომხარობის განსაზღვრულმა უსახელო საზოგადოების დირექციას საქმის სივანობისთვის მოწყობა განუზრახავს. ეს მტკნარი სიტყვა...“

ტრავმის კეთილის მყოფელი.

პატივცემულო რადამცირო! ვთხოვთ გამოაცხადოთ ყოწია კიკაჩიშვილის საყურადღებო, რომ მე სიამოვნებით ვთანამდებო სამედიკატორო სამართალზე და ჩემი მხრით ვასახელებ: იესტინეს და გიორგი ლენდუას.

პატარა ბიჭი.

ბატონო! თქვენი ჟურნალის მეფთ ნომერში მოთავსებული იყო სახუმარო ცნობა: თითქო დრამატულ გამგეობას ჩემთვის სტიპენდია დაენიშნოს. მიკვირს რაღა ჩემზე მოიკალეთ სიამონჯოთ, როცა სინამდვილეშია სტიპენდიები ლითებისა და უსაკმურებებს ეძლევათ ხოლმე.

ვ. გუნია *).

ბ-ნო რადამცირო! უმორჩილესად ვთხოვთ: ჩემ შესახებ თუ გახეთში დასაბუღათ ცუდი რამ მოგიციდეს არ დაბუღდით. იცოდეთ მთელი სოფელი მტრათ მკაცვ გადაკიდული ღრამის ფულის შესახებ.

წმინდა გიორგის შტატის მღვდელი დიომიდე სებარაძე.



მათრასის ფოსტა.

ძმთბასი. კონსტანტინე გ-ლ-ს, თქვენ ნაწარმოებ— „ახრში“ ზარს ჯერ-ჯერობით კვალი ვერ მივუგებით. გამომიბა ნაწარმოებს.

*) ექვში შევედიკათ ეს წერილი მართლა ბ-ნ გუნიას ეკუთვნოდეს, ვინაიდან მასში ცოტათ თუ ბევრათ ფიხიელი აზრია გამოთქმული.

რედაქ.

† **ბათუში.** გრიზას. შეუდგეით ფრენერ ქრამციანის გამონცროას. ვთხოვთ ვიღერ ამას ტექსტის სუბიექტებს ნულარ გიგვანებით.

ბასნი. ჩიკვანტონის. ზედა ბახველ მოარშიყეთა და მოკარტეთა შესახებ თქვენი ლექსის დაბეღვა უზერხულათ მიგვანია, რადგან კარტის მოთამაშეებს ალბათ ხელი წაუღდათ და თითონაც დაანებებენ თავს, ხოლო „მოარშიყე ნოე“ ჩვენი მათრახით რამდენიც ვინდა ხეხო მიწაც არ გათიერდება.

პაჩილია. სინათლეს, თქვენი შარადა არ არის სინათლეზე გამოსატანი.

„ნოვს უეარს ბერის სძულს ქოფაქი

ამ გვარის დამტარებელი,
ვაჭრებ ხუტო ჰომავ, გლეხების
დამრბებველ გამტკავებელი“.

ეს „ვაჭრებ ხუტო ქომაგ“ მაინც ხომ ნამდვილი მშენიერებაა.

სამხარედი. სალამს, სალამისთვის მადლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენს პოეტურ ნაწარმოებს მაინც ვერ დაგბეღდავთ. განა ასეთი საცუხოლო ლექსის ღირსი არიან ფილკოვსკი და იქ მომშევე ბარიზნები?

“ლდე და ლამე ერთათ ყოფნა

და ღრის ვატარებოა
ამის მეტი რაღა გვირდა
იმას ვენაცვალდებოა“.

სად გვაზავა და სად სალამი.



იუმიორისტულ ნომულირული, ეოველ-კვირული, სურნაობებიანი ჟურნალი

„მათრასი და სალამურა“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით — 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2 — 50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გვეგზავნება აგრეთვე უკვე გამოცემული „სალამურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეღელ განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე — 10 კ. ღრობითი რედაქციის ადრესი: Тифлиси, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквалдзе.



(ს. ფ.)

ხოლოვამ შემოიარა
ქლოაქში დასარჩენათა,

მაგრამ ვერ გასძოო, სიყვარულე
უხვად მიართევს ძღვენათა.



დაიბეჭდა და გამოვიდა ვასასყიდით

ახალი დრამა

პ ი რ ე მ ე ლ ი ს ა

ქრისტიანე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულზე შემდეგის ოდრესით: *Тифлиς, Типография Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 კალისა გამოიწერს, დაელოება 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო კალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის აღრესზე.

იუიღება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეცხვენებათ მსურველთ:

- 1) „ეშმაკის ძათრახი“ 1907 წლის 13 ნომერი ერთად შეკერილი. 18. 30 კ.
- 2) „ეშმაკის ძათრახი“ და „ძათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი 2 — 50
- 3) „აღმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული — 50
- 4) „ქრისტიანე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ლირე-ბული ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.